პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 26 (5056)

1974 წ. 6 თებერვალი, ოთხშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვს დაბრუნდა

4 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იყო კუბის რესპუბლიკაში, მოსკოვს დაბრუნდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ამ ოფიციალურმა მეგობრულმა ვიზიტმა სათავე დაუდო ახალ მნიშვნელოვან ეტაპს საბჭოთა კავშირსა და კუბის ძმურ მეგობრობაში.

## ახალი კომპლექსის ახალი სტარტები



საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მოსახლეობაში მშდ კომპლექსის უფრო ფართოდ დანერგვის მიზნით მიიღეს დადგენილება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე მშდ კომპლექსის მრავალჭიდში საკავშირო პირველობის ჩატარების შესახებ.

ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა შეიმუშავეს ერთობლივი გადაწყვეტილება მშდ კომპლექსის მრავალჭიდში საქართველოს 1974 წლის პირველობის გამართვის შესახებ, რომელიც კომკავშირისთვის ვ. ი. ლენინის სახელის მიკუთვნების 50 წლისთავს მიეძღვნება. ეს შეჯიბრება სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III და ზაფხულის VI სპარტაკიადების ნაწილი იქნება.

პირველობა ოთხ ეტაპად ჩატარდება. პირველი ეტაპია შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, რომლებიც გაიმართება დევიზით: „მზად ვარ შრომისა და სამშობლოს დაცვისთვის", ეს შეჯიბრებები ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს ეძღვნება და 9 მაისამდე გაგრძელდება. მეორე ეტაპზე, რომლის დევიზია „დაიცავი შენი კოლექტივის ღირსება", გაიმართება სარაიონო და საქალაქო ასპარეზობები. ამ ეტაპზე გამარჯვებისთვის იბრძოლებენ სკოლების, პროფტექსასწავლებლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოების, დაწესებულებების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ფიზკულტურის კოლექტივების ნაკრები გუნდები.

მესამე ეტაპია თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, აგრეთვე, ახალციხის, თელავის, რუსთავის, გორის, ტყიბულის, ფოთის, სამტრედიის ზონალური შეჯიბრებები. ეს ასპარეზობანი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს ეძღვნება და ივლისში დასრულდება.

მეოთხე ეტაპზე მოეწყობა საქართველოს პირველობის ფინალი დევიზით: „მასობრიობიდან ოსტატობისკენ", ეს ეტაპი ფიზკულტურელთა საკავშირო დღეს მიეძღვნება და 10 აგვისტოს დამთავრდება. ფინალურ შეჯიბრებაში გამოვა თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, აგრეთვე, ზონებში გამარჯვებული თითო გუნდი. მეორე, მესამე და მეოთხე ეტაპებზე გუნდები მშდ კომპლექსის ხუთივე საფეხურის სახეობებში ასპარეზობენ.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა კომკავშირისა და ფიზკულტურის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალეს ზრუნვა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე შეჯიბრებისთვის მზადებაში პიონერებისა და მოსწავლეების, ჭაბუკებისა და გოგონების მასობრივად ჩასაბმელად. მათვე დაევალათ მშდ კომპლექსის დანერგვისთვის მუშაობა განიხილონ, როგორც ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, მათი ჯანმრთელობის განმტკიცების, შრომისნაყოფიერების ზრდის, პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

შეიქმნა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში რესპუბლიკური პირველობის საორგანიზაციო კომიტეტი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორ ა. სანებლიძის თავმჯდომარეობით.



## სიახლე ჩვენი მოკავშირეა

თბილისი. სპორტის სასახლე. 4 თებერვალი.

„დინამო" (თბილისი) — ასკ (რიგა) 87:67 (85:24).

„დინამო": ქორქია (20), ჩიხლაძე (16), ძიძიგური (8), პულავსკი (8), ჩხიკვაძე (8), საკანდელიძე (7), ბოლქვაძე (6), ბიჭიაშვილი (6), ქარაბაკი (4), ჯგერენაია (2), ნარიმანიძე (2), მაღალთაძე.

ასკ: ზახაროვი (17), ფროლოვი (11), ბოლვაჩოვი (8), რიეიკე (7), ოში (6), სტრელისი (6), პატკაუსკასი (5), ვონსოვიჩი (2), ბალოდისი (2), ბირზნიეკსი (2), ყვიგურსი (1), ეგლიტისი.

მსაჯები: ვ. კოპიტოვი (კიევი), ვ. კრაჩუნიაკი (ჩერნოვცი).

დუბლიორები — 84:74 (41:35).

კალათბურთის წესებში კიდევ ერთი საინტერესო ცვლილება მოხდა.

ამ ცვლილებას ევროპის ბოლო ჩემპიონატში ჩაეყარა საძირკველი. მაშინ ბარსელონისა და ბადალონის დარბაზებში კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის სპეციალურმა კომისიამ დიდი მუშაობა გასწია, რათა დაემტკიცებინა ის, რაც ყველასთვის ცნობილი იყო: ეგრეთ წოდებული ერთიანი ჯარიმა, რომელსაც ხშირად მიმართავენ გუნდები, ხელს უშლის თამაშის ნორმალურ მსვლელობას და შესამჩნევად აქვეითებს არა მარტო სანახაობრივ ეფექტს, არამედ ბრძოლის შემოქმედებითს მხარესაც.

„ერთიანი ჯარიმის" არსი შემდეგში მდგომარეობს: კალათბურთელები მოედნის სიღრმეში შეგნებულად არღვევენ თამაშის წესებს მეტწილად უხიფათო სიტუაციებში და ამისთვის მხოლოდ „ერთიან ჯარიმას" იღებენ (მეტოქეს ბურთი გვერდითი ხაზიდან გამოაქვს). მიზანი ცხადია: შეანელონ ტემპი, შეცვალონ თამაშის ხასიათი და ბურთი საჯარიმო სროლის გარეშე ჩაიგდონ ხელში.

ამ მიზნის განხორციელებისთვის გუნდს, როგორც წესი, გამოჰყავს ნაკლებად ტექნიკური კალათბურთელები, რომლებიც იმთავითვე 5 პერსონალური შენიშვნის მისაღებად არიან განწირული. ამით კოლექტივი არაფერს კარგავს, მეტოქეს კი საგრძნობლად უფუჭებს თამაშს. თბილისის დინამოელებისა და კიევის ასკ-ს შეხვედრაში არმიელებმა 58 ჯარიმა მიიღეს, ისე, რომ გუნდს მაინცდამაინც არაფერი დაუკარგავს. „ერთიანი ჯარიმების" წინაალმდეგ ეფექტური ბრძოლა — აი რა უდევს საფუძვლად ახალ წესებს.

როგორია ამ ბრძოლის შინაარსი? ყოველი გუნდი ყოველ ტაიმში 10 ჯარიმას მანამდე არსებული წესების მიხედვით იყენებს, შემდგომი ჯარიმებისთვის კი ინიშნება ორი სავალდებულო სროლა. ცხადია, ამ სიახლემ ხელი უნდა შეუწყოს აქამდე მოქმედი მანკიერი ტაქტიკური ხერხის შეცვლას. ამიერიდან გუნდს აღარა აქვს უფლება ბოროტად გამოიყენოს ჯარიმები.

აღნიშნულ მატჩში რიგის არმიელებმა მე-10 წუთზე ამოწურეს ჯარიმების დასაშვები ლიმიტი, მერე კი სტუმრების კალათში რამდენიმე სავალდებულო სროლა დაინიშნა, მაგრამ ამას ბრძოლის ხასიათი არ შეუცვლია. თამაში თავიდანვე თბილისელთათვის სასურველი გზით წარიმართა, სადაც რიგელთა ზონა აშკარად უძლური აღმოჩნდა „დინამოს" ტემპიანი შეტევების წინააღმდეგ.

ერთხანს სტუმრებმა მდგომარეობის გამოსწორება ტანმაღალი ეგლიტისის ხარჯზე სცადეს, მაგრამ არც ეს იყო ეფექტური შეცვლა. უფრო მეტიც, ეგლიტისმა შესამჩნევად დასცა არმიელთა ბრძოლისუნარიანობის ხარისხი და თბილისის დინამოელებს შეტევის ასპარეზი გაუფართოვა.

ახჯერ გვითქვამს და დაგვიწერია, რომ დინამოელთა მთავარი კოზირია შეტევა და, როცა გუნდი ამ გზას მიმართავს, მუდამ სასურველ მიზანს აღწევს. გუშინწინდელი მატჩი ამ აზრის ასმეერთე დასაბუთება იყო. გამარჯვებისთვის საჭირო ქულების მარაგი „დინამომ" მხოლოდ სწრაფი შეტევების ხარჯზე მიიღო, თორემ მშვიდ პოზიციურ თამაშში მისი უპირატესობა არც კი ჩანდა.

შეტევამ შესაძლოა ყოველთვის ერთნაირი ეფექტი არ მოგვცეს, ვინაიდან ნამდვილ შეტევას მუდამ ზურგს უნდა უმაგრებდეს ნამდვილი დაცვა. ეს უკანასკნელი კი დღესაც ჩვენი გუნდის აქილევსის ქუსლია. მაგრამ სხვა გზა თბილისელებს მაინც არა აქვთ. ის, რაც ქართულ კალათბურთს თაობების მანძილზე აქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში, დღესაც მისი მთავარი კოზირი უნდა იყოს.

ნ. გუგუშვილი.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 13 | 12 | 1 | 1191—1012 | 12 |
| „სპარტაკი" | 13 | 11 | 2 | 963—837 | 11 |
| „კალევი" | 13 | 8 | 5 | 1015—943 | 8 |
| „დინ." (მ.) | 13 | 7 | 6 | 1029—1018 | 7 |
| „სტროიტ." | 13 | 7 | 6 | 1076—1021 | 7 |
| „დინ." (თბ.) | 14 | 6 | 8 | 1076—1103 | 6 |
| რტი | 13 | 5 | 8 | 924—1042 | 5 |
| ასკ (რიგა) | 14 | 4 | 10 | 1039—1172 | 4 |
| ასკ (კიევი) | 13 | 3 | 10 | 946—1071 | 3 |
| „ქალგირ." | 13 | 3 | 10 | 958—998 | 3 |

## ფინალისტები გამოვლინდნენ

**ზვორიკინა — ჩიბურდანიძე 0:3**

**რანიკუ — სემიონოვა 3:0**

მოსკოვი, 5 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩის III პარტიები დიდ ინტერესს იწვევდა. ფინალის საგზურების პრეტენდენტებს, მ. რანიკუს (ტალინი) და ჩიბურდანიძეს (თბილისი) ამ შეხვედრებში ყაიმიც ჰყოფნიდათ, მაგრამ მათს მეტოქეებს — ლ. სემიონოვას (კიევი) და კ. ზვორიკინას (მინსკი) მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს. ამ გარემოებამ ბრძოლა ძაბა.

ზვორიკინამ და ჩიბურდანიძემ, ისევე როგორც პირველ პარტიაში, სიცილიური დაცვის შერენინგენის სისტემა გაითამაშეს. თბილისელმა მოჭადრაკემ ფიგურების მობილიზება რომ დაამთავრა, ზვორიკინამ პაიკებით მეფის ფრთაზე იერიში დაიწყო. თამაში ძალიან დაიძაბა. მაიამ მეფის უსაფრთხოება უზრუნველყო და მომავალს იმედით შეჰყურებდა. მინსკელმა ოსტატმა პაიკი შესწირა, მაგრამ რეალური ვერაფერი მიიღო. მაშინ მან კომბინაცია წამოიწყო.

ჩიბურდანიძე



ზვორიკინა

მეტოქის 21-ე სვლის შემდეგ, დიაგრამაზე აღბეჭდილ პოზიციაში, ზვორიკინამ ფიგურა შესწირა — 22. მ:e6. მაიამ ლაზიერის ზუსტი 25-ე და 29-ე სვლებით მოიგერია მუქარა და მატერიალური უპირატესობა შეინარჩუნა, მერე, 33-ე სვლაზე, ლაზიერების გაცვლა გამოიწვია და პარტიის ბედიც გადაწყდა.

შემდგომ ზვორიკინა ინერციით თამაშობდა და პარტიაც გაჭიანურდა.

გთავაზობთ ამ პარტიას:

**ზვორიკინა — ჩიბურდანიძე.**

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. კe3 e6 7. კe2 ლc7 8. a4 b6 9. f4 კb7 10. კf3 მbd7 11. ლe2 კe7 12. 0—0 0—0 13. g4 მc5 14. g5 მfd7 15. ლg2 ეfd8 16. მce2 მf8 17. მg3 მg6 18. ლh3 e5 19. მde2 ef 20. მ:f4 კ:g5 21. კg2 მe6 22. მ:e6 კ:e3+ 23. მფh1 fe 24. ლ:e6+ მფh8 25. ეf7 ლc8 26. ლb3 კd4 27. მf5 კe5 28. ეf1 ეd7 29. h4 ლe8 30. ე:d7 ლ:d7 31. h5 მf4 32. კf3 b5 33. ab ლ:b5 34. ლ:b5 ab 35. c3 მფg8 36. მd4 ეa2 37. მ:b5 კa6 38. c4 ე:b2 39. ეc1 კ:b5 40. cb ე:b5 41. კg4 მფf7 42. ეf1 მფf6 43. კe2 ეb2 44. კf3 მფg5 45. ეg1+ მფh4 46. h6 g6 47. კd1 მe2 48. ეe1 მg3+ 49. მფg1 კd4+. ზვორიკინა დანებდა.

დიდი ბრძოლა გაჩაღდა რანიკუ — სემიონოვას შეხვედრაში, რომელშიც ინდური დაცვა გათამაშდა. როგორც ჩანს, რანიკუ საუცხოო სპორტულ ფორმაშია. მან ადვილად გააქარწყლა სემიონოვას აქტიური გეგმები და 34-ე სვლაზე იერიშით გაიმარჯვა.

დღევანდელი, მეოთხე პარტიის შედეგის მიუხედავად, ფინალისტები უკვე ცნობილი არიან, რანიკუ — ჩიბურდანიძის მატჩი ალბათ მეტ ინტერესს გამოიწვევს.

ესტონელი მაია გამოცდილი, შეუპოვარი მებრძოლია. მის სპორტულ ბიოგრაფიას ბევრი თვალსაჩინო გამარჯვება ამშვენებს. რანიკუს მატჩების თამაშის გამოცდილებაც აქვს. ამიტომ იგი ძლიერი და რთული მეტოქეა. მაგრამ მაია გულს როდი იტეხს.

ფინალური მატჩი 8 თებერვალს დაიწყება. მეტოქენი ოთხივე პარტიას ზედიზედ ითამაშებენ, გადადებულ პარტიებს კი მეორე დღეს, დილით დაამთავრებენ. თუ მატჩი ყაიმით (2:2) დამთავრდა, დაინიშნება ორი დამატებითი პარტია დროის კონტროლით: თითოეულ მეტოქეს მთლიანად პარტიისთვის ერთი საათი მიეცემა, ეს მინიმატჩიც ყაიმით რომ დასრულდეს, მაშინ თასის ბედს წინასწარ შესარჩევ მატჩებში დაგროვილი ქულების უკეთესი ჯამი გადაწყვეტს. თუ ეს ჯამი თანაბარი აღმოჩნდა, მაშინ თასის მფლობელს კენჭისყრა დაასახელებს. მაგრამ, ვფიქრობთ, საქმე აქამდე არ მივა.

მ. შიშოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი.

# ახალი სეზონის

## ჩემპიონატის კონტურები

**სსრ კავშირის 1974 წლის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებს უმაღლესი ლიგის 16 გუნდი: „არარატი“ (ერევანი), „დინამო“ (კიევი), „დინამო“ (მოსკოვი), „სპარტაკი“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი), „შახტიორი“ (დონეცკი), „ზარია“ (ვოროშილოვგრადი), „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი), „კაირატი“ (ალმა-ათა), ცსკა, „ზენიტი“ (ლენინგრადი), „პახთაქორი“ (ტაშკენტი), „ტორპედო“ (მოსკოვი), „კარპატი“ (ლვოვი), „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „ნისტრუ“ (კიშინიოვი).**

**I ლიგაში იასპარეზებს 20 გუნდი: „დინამო“ (მინსკი), ასკ (დონის როსტოვი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „ნეფთჩი“ (ბაქო), „მეტალურგი“ (ლიპეცკი), „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე), „შინიკი“ (იაროსლავლი), „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი), „ტორპედო“ (ქუთაისი), „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი), „ზვეზდა“ (პერმი), „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო), „სტროიტელი“ (აშხაბადი), „პამირი“ (დუშანბე), „კუზბასი“ (კემეროვო), „სპარტაკი“ (ნალჩიკი), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), „ტავრია“ (სიმფეროპოლი), „კუბანი“ (კრასნოდარი).**

**II ლიგის საკავშირო ზონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებს 117 კოლექტივი.**

ასეა განსაზღვრული ფეხბურთელთა საუკეთესო გუნდების საკავშირო გათამაშება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილებაში „1973 წლის საფეხბურთო სეზონის შედეგებსა და საბჭოთა ფეხბურთელების ოსტატობის შემდგომი ზრდის ღონისძიებათა შესახებ“.

უმაღლესი ლიგის გუნდების შეჯიბრება დაიწყება 12 აპრილს და დამთავრდება 17 ნოემბერს. გათვალისწინებულია შარშანდელი კალენდრის ნაკლოვანებანი. კერძოდ, ახლა მაისიდან მოყოლებული აგვისტომდე თამაშები ჩატარდება მხოლოდ არასამუშაო დღეებში, ხოლო აპრილსა და სექტემბერ-ნოემბერში — უმთავრესად შაბათ-კვირას.

ჩემპიონატის დებულებაში განსაზღვრულია, რომ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმები ახლა დაინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მატჩის მსვლელობაში ანგარიში არ გაიხსნება.

დადგენილებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მწვრთნელთა კადრების მომზადების საქმეს. კერძოდ, გადაწყდა ჩატარდეს მათი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. პირველად საბჭოთა ფეხბურთის პრაქტიკაში, ახალგაზრდა მწვრთნელები სტაჟირებას გაივლიან უმაღლესი ლიგის კლუბებში, ხოლო საბჭოთა გუნდების ზოგიერთი მწვრთნელი — უცხოურ კლუბებში.

საკავშირო სპორტკომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს მატჩების დროს შექმნილ საერთო მდგომარეობას და ატმოსფეროს. სტადიონების ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ სისტემატური ახსნა-განმარტებითი მუშაობა აწარმოონ მაყურებლებთან, ფართო ინფორმაცია მიაწოდონ მათ საკავშირო ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მსვლელობის შესახებ, ბილეთები გაყიდონ საწარმოებში და მშენებლობებზე, მახლობლად მდებარე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

საფეხბურთო მატჩები სპორტის ნამდვილ ზეიმად უნდა იქცეს. რეკომენდებულია, რომ ოსტატთა შეხვედრების წინ ჩატარდეს ნორჩ ფეხბურთელთა თამაშები, ხოლო შესვენებებში — საჩვენებელი გამოსვლები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

დადგენილებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ფეხბურთელთა აღზრდის პრობლემებს. მკაცრად მოეკიდებიან მათ, ვინც არ ასრულებს საწვრთნელ დავალებებს, არ აბარებს ტექნიკური და ფიზიკური მომზადების ნორმატივებს.

მკაცრად დაისჯებიან ის მწვრთნელები, რომლებიც თავიანთ ხელმძღვანელობას ფარგლავენ ფეხბურთელთა წვრილმანი მფარველობით, მათთვის სხვადასხვა შეღავათების შექმნით. პასუხს მოსთხოვენ იმათ, ვინც ყოველნაირად ცდილობს გაამართლოს საწვრთნელ მეცადინეობათა დაბალი დონე.

სპორტის მოყვარულებმა იმედი უნდა იქონიონ, რომ 1974 წელს საბჭოთა ფეხბურთი კიდევ უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდება.

---

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა 1974 წლის ჩემპიონატისა და თასის დებულება. წლევანდელი სეზონი საინტერესო და მდიდარი იქნება დიდი მასშტაბით შეჯიბრებებით, ამასთან დაკავშირებით სერიოზული, მნიშვნელოვანი ამოცანები დგას ქართული ფეხბურთის წინაშე.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ზ. მახარაძეს და თხოვა გამოეთქვა თავისი აზრი ამ პრობლემებზე.

**„ლელო“ ინტერვიუ**

● **რა ამოცანებია დასახული წლევანდელ სეზონში თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ წინაშე?**

— თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობა, როგორც იცით, შეიცვალა. ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ დინამოელთა შარშანდელი შედეგებით კმაყოფილი არა ვართ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ესპანეთის ქალაქ უელვაში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში მოპოვებულ წარმატებას, საიდანაც შინ ჩამოვიტანეთ საპატიო თასი, აგრეთვე, ზოგიერთ მატჩს საკავშირო ჩემპიონატში და უეფა-ს თასზე, დინამოელთა მაჩვენებლები, მათი თამაშის დონე არ აკმაყოფილებს ჩვენს გულშემატკივრებს. ეს ბუნებრივიცაა. ჩემპიონატში დავიკავეთ მხოლოდ V ადგილი და დავკარგეთ ევროპის ოფიციალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება, ცუდად ვითამაშეთ საკავშირო თასზე, როცა ვერ შევძელით მოსკოვის „სპარტაკის“ წინააღმდეგობის დაძლევა საკუთარ მინდორზე, იყო შემთხვევები, როცა გუნდი თავისი საუკეთესო შემადგენლობით არ გამოდიოდა მინდორზე, შეცდომები იყო დაშვებული მოთამაშეთა შეცვლის დროს და ა. შ.

გუნდის თამაშის კლასი, მისი საერთო ბრძოლისუნარიანობა, მოგეხსენებათ, დიდადაა დამოკიდებული მწვრთნელის უნარზე, მის კვალიფიკაციაზე. ჩვენ გვინდა უარი ვთქვათ მწვრთნელთა მოწვევის პრაქტიკაზე და ვიზრუნოთ საკუთარი კადრების მომზადებასა და აღზრდაზე. მოწვეული მწვრთნელი, რაც არ უნდა მაღალი კვალიფიკაციისა იყოს იგი, მუდამ იფარგლება ლოკალური ამოცანით: წარმატებას მიაღწიოს გარკვეულ შეჯიბრებაში, კონკრეტულ ეტაპზე, ხოლო უფრო შორეული, მომავლის პერსპექტივები მას ნაკლებად აღელვებს. ასეთები ნაკლებად იცნობენ ჩვენს ფეხბურთს ადგილებზე, არ არიან გათვითცნობიერებული ბავშვთა ფეხბურთის საკითხებში, მათი მუშაობის პროგრამა შემოფარგლულია მხოლოდ ერთი გუნდის ინტერესებით. ჩამოსულები, როგორც წესი, კვლავ ბრუნდებიან უკან, ჩვენი საპრობლემო საკითხები კი გადაუწყვეტელი რჩება. ამიტომ გვინდა თბილისის „დინამოსთვის“ გვყავდეს ისეთი ხელმძღვანელი, რომლისთვისაც ახლო და მშობლიურია ქართული ფეხბურთის აწმყო და მომავალი, რომელიც შეძლებს თავი გაართვას რთულ სამუშაოს.

ძველ ფეხბურთელთა რიცხვიდან მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელთა მომზადების საკითხს რესპუბლიკური სპორტკომიტეტი საგანგებო ყურადღებას დაუთმობს. საამისოდ შეიძლება საჭირო გახდეს ამჟამად არსებული მწვრთნელთა სკოლის რეორგანიზაცია. უკვე გადაგმულია პრაქტიკული ნაბიჯები. საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ, კერძოდ, თბილისის „დინამოს“ სტაჟირებისთვის მიამაგრა მწვრთნელები ფოთიდან და ბათუმიდან ი. გვაზავა და თ. კვახაძე, ეწყობა მწვრთნელთა რესპუბლიკური სემინარი.

ჩვენ ახლა ყველანი დიდი იმედით შევცქერით ქუთაისის „ტორპედოს“, გვაინტერესებს მისი წინსვლისა და პროგრესის პერსპექტივები. შარშან ტორპედოელებმა გაგვახარეს მათს წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებით. საქმე ისაა, რომ გუნდის მწვრთნელმა ა. ნორაკიძემ თამამად მოკიდა ხელი გუნდის გაახალგაზრდავების საქმეს, უარი თქვა გასტროლიორებზე და დიდ სარბიელზე გამოჰყავს ჭაბუკები, რომლებიც სხვა მწვრთნელის ხელში შეიძლება სამუდამოდ დარჩენილიყვნენ ჩრდილში. სწორედ ეს ადგილობრივი, ქუთაისელი ახალგაზრდობა იბრძოლებს მთელი ძალით იმ მთავარი ამოცანის განსახორციელებლად, რომელიც „ტორპედოს“ წინაშეა დასახული. საქმის შესრულებას მხოლოდ დრო და მოთმინება ჭირდება.

როგორც თბილისის „დინამოს“, ისე ქუთაისის „ტორპედოს“ მოთამაშეებმა ძალ-ღონე და მონდომება არ უნდა დაიშურონ საიმისოდ, რომ მიღწევებს ჰქონდეს არა დროებითი, ეპიზოდური, არამედ სტაბილური, ჩამოყალიბებული ხასიათი. ორივე ჩვენმა საუკეთესო გუნდმა მკვეთრად უნდა აიმაღლოს თამაშის კლასი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს საფეხბურთო კოლექტივებში მორალურ-სანებისყოფო თვისებების ამაღლებას, ფეხბურთელთა შორის საბრძოლო ჩვევების განმტკიცებას. მათ უნდა იცოდნენ, რომ ყოველი მატჩი, ყოველი შეჯიბრება მოითხოვს ძალებისა და ენერგიის სრულ მობილიზებას, მაქსიმალურ თავგანწირვას. სპორტს არ უყვარს გულგრილი ხალხი.

---



# თასი კონსერვატორიის გუნდმა მოიპოვა

პ. კობახიძის სახელობის გარდამავალი თასის გათამაშებაში, რომელიც საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა, მონაწილეობდნენ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის, მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის და სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მოჭადრაკეთა კოლექტივები. თასი კონსერვატორიის გუნდმა მოიპოვა.

ი. თოდრია.

• • •

სურათზე: პ. კობახიძის სახელობის თასის მფლობელი — კონსერვატორიის გუნდი (მარცხნიდან) — გ. ნეკრასოვი (პიანისტი—დიპლომანტი), ა. ნახაპეტიანი (ვოკალისტი), ე. ბელქანია (უფროსი მასწავლებელი), რ. თავაძე (ფორტეპიანოს კათედრის მასწავლებელი) ერთ-ერთი პარტიის გარჩევისას.

ი. იუნაევის ფოტო.

---

# მომავლის იმედით

20 წლის წინათ გორის მე-6 საშუალო სკოლის ბაზაზე სპორტული სკოლა შეიქმნა. მრავალმა მოზარდმა ისურვა ამ სკოლაში სწავლა, მაგრამ საწვრთნელი ბაზების უკმარობის გამო ყველა ვერ დააკმაყოფილეს.

შვიდ წელიწადს იჯახირა სხვის ბინაში შეკედლებულმა სკოლამ, მაგრამ საქმის წინ წასვლა არ მოხერხდა. შემდეგ მოზარდი სპორტსმენები ეკლესიის შენობაში გადაიყვანეს. პირველ ხანებში თითქოს გაუმჯობესდა მდგომარეობა, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ სკოლას ვერც ის ბაზა დააკმაყოფილებდა. მოზარდები საათობით იდგნენ რიგში, რომ მეცადინეობა დაეწყოთ, ვინაიდან მხოლოდ ერთი დარბაზი ჰქონდათ და ისიც სანახევროდ შეშისა და ათასნაირი ხარახურის შესანახად იყო გამოყენებული. ეს მდგომარეობა დღემდე არ გამოსწორებულა.

მაგრამ, სადაც მონდომება და საქმის სიყვარულია, იქ დაბრკოლება უკან იხევს. სპორტული სკოლის კოლექტივმა (დირექტორი კ. ხუციშვილი), მაინც შეძლო ბევრი კარგი სპორტსმენის აღზრდა. დავასახელოთ, მაგალითად, ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი მეკარე, სპორტის ოსტატი გ. მერაბიშვილი, თავისუფალი სტილის მოჭიდავე გ. კარიჭაშვილი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი მძლეოსნობაში ლალი თოფჩიშვილი, საკავშირო და რესპუბლიკური შეჯიბრებების მრავალგზის პრიზიორი, ტანმოვარჯიშე ეკატერინე მუკნიაშვილი, აგრეთვე, „დილის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მოთამაშეები: თ. ბურჯანაძე, თ. ბუზალაძე, გ. ბერიკაშვილი, ვ. ხანიშვილი და სხვ.

ახლა სკოლაში 9 სპორტული სექცია მუშაობს, რომლებშიც 340 მოსწავლეა ჩაბმული. ყველა მათგანს კვალიფიციური მწვრთნელი ავარჯიშებს. საერთო შედეგიც არ არის ცუდი, მაგრამ სპეციალისტების უკმარობა მაინც იგრძნობა. მოგახსენებთ ერთ მაგალითს: ტანვარჯიშის სექციას (ხელმძღვანელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. კოშაძე) ორი გუნდი ჰყავს — ბიჭებისა და გოგონებისა. ორივეს კოშაძე აწვრთნის. ცხადია, მწვრთნელს ვინმე დამხმარე რომ ჰყავდეს, გუნდების მომზადების საქმე უფრო წინ წავიდოდა. პირდაპირ სავალალო მდგომარეობაშია მძლეოსნობის სექცია (მწვრთნელი ა. ზარქუა). დებულების თანახმად, სკოლას ექვსი მძლეოსნური ჯგუფი უნდა ჰყავდეს, მაგრამ ორსაც დიდი გაჭირვებით უვლის, რადგან სექციის მუშაობის გაუმჯობესებაზე არავინ ფიქრობს და ვერც სავარჯიშო ბაზებით დაიკვეხნიან. განსაკუთრებული გასაჭირი ზამთრის პერიოდში ადგათ, ვინაიდან მწვრთნელი ბავშვებს ხან ერთ სკოლაში დაარბენინებს სავარჯიშოდ, ხან მეორეში, რათა როგორმე პროგრამით გათვალისწინებული მასალა შეასწავლოს. ხეირიანი დარბაზი არც ქართული და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს (მწვრთნელები გ. კურტანიძე, ა. ბუხრიკიძე) გააჩნიათ. ისინი ვარჯიშობენ მე-9 სკოლის დაბალჭერიან და ბნელ სარდაფში, სადაც წელგამართული დგომაც კი ჭირს. ეს მაშინ, როცა ქალაქის ჭიდაობის დარბაზი მეტწილად გამოკეტილია.

ამდენი დაბრკოლების მიუხედავად, სპორტული სკოლის აღსაზრდელებისთვის 1973 წელს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მოსწავლეებმა ბევრ ადგილობრივ და რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამოსცადეს ძალა. 400 ბავშვი იცავდა თავისი ქალაქის სპორტულ ღირსებას კალათბურთის ფარებთან, საჭიდაო სარბიელზე, სარბენ ბილიკებზე, ტანვარჯიშის დარბაზებში, სასროლეთზე, ჭადრაკისა და შაშის დაფებთან.

ნორჩი გორელი სპორტსმენებისთვის განსაკუთრებით უხვმოსავლიანი გამოდგა მოსწავლეთა XXV რესპუბლიკური სპარტაკიადა. ისინი ამ შეჯიბრებაში 10 სახეობაში გამოვიდნენ და წარმატებაც მოიპოვეს: მეორე ჯგუფის ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდების კომპლექსურ ჩათვლაში პირველობა იხეიმეს. ამას გარდა, სპარტაკიადის სარბიელზე გორელმა მოსწავლეებმა 9 ოქროს, 18 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს.

ამ ასპარეზობაში განსაკუთრებით იყოჩაღეს ტანმოვარჯიშეებმა, ფეხბურთელებმა, ტყვიის მსროლელებმა, ქართული სტილის მოჭიდავეებმა და ველოსიპედისტებმა (მწვრთნელები: გ. კოშაძე, ვ. სირკო, ვ. შიუკაშვილი, გ. კურტანიძე, გ. ბერიძე).

ქართული ჭიდაობის ნორჩ ოსტატთა პირად რესპუბლიკურ ჩემპიონატში, რომელიც სულ ახლახან ჩატარდა გორში, თავიანთ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს სპორტსკოლის წარმომადგენლებმა, მე-9 საშუალო სკოლის მოსწავლე ვ. იმერლიშვილმა, 1-ელი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ტ. და ნ. ვათიაშვილებმა.

სპორტული სკოლის აღსაზრდელები ხშირად მეზობელი რაიონების თანატოლებთანაც ატარებენ ამხანაგურ შეხვედრებს. წლეულს მათ ასეთი შეჯიბრებები ჰქონდათ ცხინვალში, ხაშურსა და ქარელში.

მიღწევები უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ქალაქის საშუალო სკოლები მეტი მონდომებით რომ ეკიდებოდნენ სპორტსკოლისთვის პერსპექტიული კონტინგენტის შერჩევას.

იქნებ მდგომარეობა გამოსწორდეს. ბოლოს და ბოლოს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში ქალაქში დამთავრდება კომპლექსური სპორტული ბაზის მშენებლობა. ამით, რა თქმა უნდა, აქაური ახალგაზრდებიც გაიხარებენ და ქალაქის სპორტის მესვეურებსაც უფრო ნაყოფიერი მუშაობის საშუალება მიეცემათ.

ი. თევდორაშვილი,
(ჩვენი კორ.).
გორი.

# ამოცანები

**● შარშან საქართველოს ნორჩმა ფეხბურთელებმა საუკეთესო წარმატებებს მიაღწიეს საკავშირო სარბიელზე და დიდ შეჯიბრებებში მოიპოვეს ოქროს მედლები. მიღწევები ადრეც გვქონია, მაგრამ ჭაბუკთა შორის გუშინდელი ჩემპიონები ხშირად ველარ იკიდებენ ფეხს მოზრდილთა ფეხბურთში და აღარ ჩანან დიდ სარბიელზე. რა არის ამის მიზეზი?**

— ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა ამ საკითხზე ხშირად გამოთქვამს უკმაყოფილებას და სამართლიანადაც. პირველობა მოზარდთა ასაკში სასიხარულო და საპატიო ამბავია, მაგრამ რა ფასი აქვს მას, თუ რეზერვები არ გამოვიყენეთ ისე, როგორც საჭიროა, ე. ი. დიდი ფეხბურთისთვის! საიდან უნდა მივიღოთ ოსტატთა ღირსეული ცვლა, თუ არა ბავშვებიდან?

დაგვეთანხმებით, ჩვენი გუნდები მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებებში ვერ მიაღწევდნენ ასეთ წარმატებებს, მათ შორის რომ არ იყვნენ კარგი მონაცემების მქონე, ნიჭიერი, პერსპექტიული მოთამაშეები, მაგრამ ჩვენში ყოვლად გაუმართლებელი და დაუშვებელი სიცარიელეა შექმნილი ბავშვთა და მოზრდილთა ფეხბურთს შორის. ის, ვინც ჭაბუკთა გუნდიდან უშუალოდ ვერ ხვდება ოსტატთა კოლექტივებში, ფაქტიურად იკარგება. რამდენია კი ისეთი, რომელთა ტალანტი იფურჩქნება მოგვიანებით, 19-20 წლის ასაკში. ამიტომაა საჭირო შევქმნათ პერსპექტიულ ფეხბურთელთა ცალკე ჯგუფი, სადაც გამოცდილი, უნარიანი მწვრთნელი იმუშავებს სწორედ კონკრეტული მიზნის — მოზარდთა შემდგომი დაოსტატების განსახორციელებლად.

ჩვენ გვახსოვს, თუ რა სამსახური გაუწია ქართულ ფეხბურთს თბილისის ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლასთან არსებულმა ჯგუფმა, სადაც დაოსტატდნენ შ. იამანიძე, მ. მესხი, გ. ჩოხელი, ვ. ბარქაია, ს. კოტრიკაძე, ჯ. ზეინკლიშვილი და სხვანი. ასეთი ჯგუფი კვლავ უნდა შეიქმნას და ყოველმხრივ შევუწყოს ხელი.

**● რახან მოზარდთა ფეხბურთს შევეხეთ, ალბათ, ახალ ამოცანებს უსახავთ დუბლიორებსაც!**

— რა თქმა უნდა, დუბლიორთა კოლექტივი ძირითად შემადგენლობასთან ერთად საერთო ინტერესებით ცხოვრობს. დუბლიორებს თვალწინა აქვთ მაგალითი იმისა, თუ როგორ ვარჯიშობს, როგორ ემზადება გამოცდილი, მაღალი კლასის ფეხბურთელი და ეს სანიმუშო სკოლად უნდა იქცეს მისთვის. თბილისის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობის შარშანდელი საქმიანობით ჩვენ არა ვართ კმაყოფილი. კოლექტივში ძალზე დიდი იყო დენადობა, ახალგაზრდა ფეხბურთელთა შემოწმება და გასინჯვა კი უნდა მოხდეს სერიოზულად, დიდი გულისყურით, განსაკუთრებული მონდომებით. 17-18 წლის ფეხბურთელმა თავიდანვე უნდა იგრძნოს პედაგოგის მზრუნველობა და ყურადღება, ირწმუნოს თავისი შესაძლებლობანი და ძალა არ დაიშუროს საკუთარ თავზე მუშაობისთვის.

დღევანდელ ფეხბურთში, რომელიც უაღრესად ინტენსიური და შრომატევადია, მიზანს ვერ მიაღწევ თუ მაქსიმალური ენერგიით და მონდომებით არ ივარჯიშე. სულ მცირე სიზარმაცე და სამეცადინო საათის გაცდენაც კი საკმარისია ხელიდან გაუშვა ის, რასაც შემდეგში ველარ აინაზღაურებ. სხვათა შორის, ბევრი ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელი უფრო მაღალ ასაკში კარგავს თავის საუკეთესო თვისებებს სწორედ იმიტომ, რომ თავს არიდებს მაღალ დატვირთვებს, ინტენსიურ მუშაობას, სისტემატურ ვარჯიშს. პელე რომ პელეა, იგი ახლაც, როცა უკვე წასვლას აპირებს დიდი ფეხბურთიდან, საათობით მეცადინეობს ბურთით დამოუკიდებლად, გუნდის საერთო წვრთნის მერე. ასე იქცევა ყველა დიდი ფეხბურთელი, ასე ვარჯიშობდნენ ბ. პაიჭაძე, გ. ჯეჯელავა, ა. ღოღობერიძე, გ. ჩოხელი, მ. მესხი, ს. მეტრეველი, ს. კოტრიკაძე და სხვა გამოჩენილი ოსტატები. ახლანდელ ახალგაზრდობას არ უნდა დაავიწყდეს წარსულში გამოჩენილი ოსტატის მ. ბუტუსოვის სიტყვები: „ბურთთან რომ იყო მეგობრულად, ელაპარაკო „შენობით", რაც შეიძლება მეტი ხანი უნდა დაჰყო მასთან".

ვარჯიშის ინტენსიურობის ზრდა, დიდი დატვირთვების მიღება საჭიროა რაციონალურად, წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით, თამაშის ცალკეული ელემენტების გაუმჯობესების მიზნით.

ავიღოთ, მაგალითად, თავით თამაშის ტექნიკა. თბილისის „დინამო" არაერთხელ შეხვედრია ინგლისის პროფესიულ გუნდებს და, როგორც წესი, საგრძნობლად უთმობდა მათ თავით თამაშში. ასე იყო შარშანაც, როცა წავაგეთ ლონდონში „ტოტენ ჰ ე მ ჰოტსპურთან". თავით თამაში არის ფეხბურთის ერთ-ერთი ძირითადი, წამყვანი ელემენტი, მის ათვისებაზე კი სერიოზულად არავინ ზრუნავდა. ოდესღაც ჩვენ გვყავდა თავით თამაშის ნამდვილი ოსტატები ბ. ფროლოვი, გ. ბერეჟნოი, ზ. კალოევი, გ. აროშიძე და სხვანი, ახლა კი ასეთთა რიცხვი ერთობ მცირეა. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ თბილისის „დინამოს" თავდამსხმელები და ნახევარმცველები ძალზე სუსტად თამაშობენ თავით და ამის გამო არა მარტო მცველებს ექმნებათ დამატებითი სიძნელეები, საერთოდ ქვეითდება გუნდის ბრძოლისუნარიანობა.

„ტოტენჰემს" ჰქონდა წინასწარ შემუშავებული, გავარჯიშებული კომბინაციები, რომლებიც თავით თამაშის ელემენტს შეიცავს. ასეთ კომბინაციებს რეგულარული ვარჯიში, საათობით წვრთნა ჭირდება, რათა იგი ავტომატიზმამდე იქნას აყვანილი.

სწორედ ასეთი გულმოდგინე, შეუსვენებელი მუშაობა მართებთ ჩვენს ფეხბურთელებს, რათა საერთაშორისო სტანდარტის სიმაღლეზე ავიდნენ.

როცა ვლაპარაკობთ ახალგაზრდა ფეხბურთელებზე, მხედველობაში ისიც გვაქვს, რომ თბილისის „დინამო" ფაქტიურად ერთადერთი მეკარის შემყურეა. დ. გოგია ორი წელია შეუცვლელად დგას კარში, მთელ თავის შესაძლებლობებს ახმარს გუნდის წარმატებას. მას მცირეოდენი დასვენების საშუალებაც კი არ ჰქონია ამ დროის მანძილზე და რაც არ უნდა ნიჭის პატრონი იყოს იგი, მცირეოდენი პაუზა მაინც სჭირდება ძალების აღსადგენად. ახალგაზრდა მეკარეებმა, რომლებსაც „დინამოში" მიიწვევენ, ეს უნდა გაითვალისწინონ, გაათკეცებული ენერგიით ივარჯიშონ, რათა მხარში ამოუდგნენ უფროს კოლეგას, შეუმსუბუქონ მას შრომა.

**● რას იტყვით „ტოტენჰემის" მწვრთნელის ბ. ნიკოლსონის სიტყვებზე: თბილისელების მსგავსი წყნარი, ინდიფერენტული გულშემატკივარი არსად გვინახავსო?**

— საგანგებოდ ვაკვირდებოდი მაყურებლებს ესპანეთში, იუგოსლავიაში, ინგლისში და სხვაგან. საკუთარი გუნდის ქომაგობაში ერთმანეთს ტოლს არ უდებს არავინ. ტრიბუნებიდან ისეთი მხარდაჭერა ისმის, რომ ფეხბურთელები იძულებული არიან მაქსიმალური მონდომებით იბრძოლონ, გააკეთონ ყველაფერი, რაც კი შეუძლიათ. გაუშვებს გუნდი ბურთს, დაუშვებს რომელიმე ფეხბურთელი შეცდომას — მხარდამჭერნი ტრიბუნებზე მაინც არიან, მაყურებლები ერთთავად იმის ცდაში არიან, მოთამაშეს სტიმული არ მოაკლდეს.

თუ ჩვენი გუნდები გვიყვარს, მთელი სულითა და გულით უნდა დავუჭიროთ კიდეც მათ მხარი, გავამხნევოთ ფეხბურთელები, ვუმეგობროთ მათ, როგორც ეს მსოფლიოს ყველა ქვეყნის სტადიონებზე ხდება. რატომ უნდა ჩამოვრჩეთ სხვებს?

**● რა საერთაშორისო მატჩები ელის თბილისის „დინამოს" წლევანდელ სეზონში?**

— როგორც კოლუმბის „კარაველას" თასის მფლობელმა, მონაწილეობა უნდა მივიღოთ ამავე ტურნირში, რომელიც აგვისტოში გაიმართება. მოგვიწევს პრესტიჟის შენარჩუნებისთვის ბრძოლა. ვეცდებით კვლავ გავახაროთ ჩვენი გულშემატკივრები. საერთოდ, კი, საჭიროა მეტი კონტაქტი უცხოეთის საუკეთესო პროფესიულ გუნდებთან, ძლიერ კლუბებთან. სისტემატური ურთიერთობა უნდა გვქონდეს მათთან, ვინც დღევანდელი საერთაშორისო ფეხბურთის ავანგარდში დგას, ვინც თამაშის მოწინავე მეთოდებს კარნახობს. უამისოდ წინსვლა შეუძლებელია.

## ფეხ-ბურ-თი-74

დასასრულ, მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა იმის თაობაზე, რომ ჩვენი ფეხბურთის შემდგომი წინსვლისთვის აუცილებლად საჭიროა სასწავლო-მეთოდური, დამხმარე ლიტერატურის შექმნა ქართულ ენაზე. ქართულ ფეხბურთს აქვს მდიდარი ტრადიციები, ხანგრძლივი ისტორია, მრავლად მოგვეპოვება შესაბამისი მასალა და ვეტერანთა მოგონებანი. რესპუბლიკურმა სპორტკომიტეტმა შეადგინა ავტორთა კოლექტივი, რომელიც მუშაობს ქართული ფეხბურთის ისტორიის წიგნის შექმნაზე. ჩვენი გამოჩენილი ოსტატების სახელოვანი სპორტული გზა მაგალითად უნდა იქცეს ახალგაზრდობისთვის, ხელი შეუწყოს ფეხბურთის შემდგომ პოპულარიზაციას და განვითარებას საქართველოში.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენში ფეხბურთზე ჯერ კიდევ არ იწერება საქმიანი, კვალიფიციური წერილები, არ ქვეყნდება სასარგებლო სტატიები. მატჩების სარეცენზიო წერილები უფრო სტატისტიკურ ანგარიშებსა ჰგავს, სადაც მაყურებელს იმავე ფაქტიურ მასალას სთავაზობენ, რაც მან უკვე თვითვე ნახა, საჭიროა კი ღრმა, საფუძვლიანი დასკვნები, დაკვირვებული ანალიზი. ყველამ, ვინც კი ემსახურება საქართველოში ფეხბურთის განვითარების საპასუხისმგებლო საქმეს, ობიექტურად, საქმის ცოდნით, სწორი, ქმედითი კრიტიკით ხელი უნდა შეუწყოს მის შემდგომ პროგრესს და წინსვლას, ჩვენი გუნდების მიერ ახალ წარმატებათა მოპოვებას.

---

## მძლეოსნობის ახალი ამბები

**ბერლინი,** 4 თებერვალი. აქ გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. სტუმარმა, პოლონელმა სპორტსმენმა გ. ციბულსკიმ სიგრძეზე ხტომაში გადალახა ზუსტად 8 მეტრი. ეს შედეგი წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში დარბაზებისთვის. ქალთა შორის პირველი იყო კ. ალბრეტუსი (გდრ) — 642 სმ. ბირთვის კვრაში მსოფლიოში საუკეთესო შედეგი აჩვენა 20 წლის სპორტსმენმა ქალმა მ. ადამმა (გდრ) — 18,91.

**სიეტლი,** 4 თებერვალი. მძლეოსანთა ასპარეზობაში ფ. ლარიუმ ყველაზე სწრაფად გაირბინა ერთი მილი — 4.34,6. ეს ახალი მსოფლიო მიღწევაა დარბაზებისთვის. აშშ-ს რეკორდი დაამყარა მ. ზაილერმა, რომელმაც ბირთვი 16,95 მეტრზე ჰკრა. თ. ვუდსმა გადალახა 222 სმ სიმაღლე.

**კიოტო,** 4 თებერვალი. იაპონიის ამ ქალაქში გაიმართა მარათონელთა ტრადიციული შეჯიბრება, რომელიც მოიგო ფინელმა სპორტსმენმა მ. ვუორენმაამ. მან 42 კმ-სა და 195 მეტრის გავლას 2:15.10,6 მოანდომა. ასპარეზობაში 4 ქვეყნის 155 სპორტსმენი მონაწილეობდა.

**სან-ფრანცისკო,** 4 თებერვალი. უკვე მეორედ გააუმჯობესა მსოფლიო მიღწევა ბირთვის კვრაში დარბაზებისთვის მიუნჰენის ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელმა, ამერიკელმა ჯ. ვუდსმა. აშშ-ს ამ ქალაქში შეჯიბრების დროს მან 21,45 მ აჩვენა.

**კატანია,** 4 თებერვალი. კუნძულ სიცილიის ამ ქალაქის გარშემო მოეწყო 11-კილომეტრიანი საერთაშორისო კროსი, ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა ტუნისელი მძლეოსანი ა. ზადემა, რომელმაც დისტანციის გავლას 33.52,0 მოანდომა. ფინიშთან მეორე იყო საბჭოთა სპორტსმენი, მინსკელი მ. ჟელობოვსკი — 34.02,0.

---

# ჭაბუკ ძალოსანთა პირველი რესპუბლიკური...

უკვე მეოთხე წელია, რაც ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნა და ნაყოფიერად მუშაობს ჭაბუკ ძალოსანთა 40-ზე მეტი ჯგუფი.

ამ დღეებში ცხინვალში გაიმართა აღნიშნულ სექციებში მომეცადინე ბავშვთა პირველი რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება. სარბიელზე გამოვიდნენ სამხრეთ ოსეთის, თელავის, მახარაძის, ზუგდიდისა და რუსთავის წარმომადგენლები. მონაწილეთა ასაკი 14-17 წლით განისაზღვრებოდა, ჭაბუკები 8 წონითს კატეგორიაში ასპარეზობდნენ.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: რ. სიმოვანიანმა (სოხუმი), ვ. პუხაევმა და ბ. ჩიოტაშვილმა (ორივე — ცხინვალი), ი. ხარტომაჯიდიმ, ფ. ქსიმიტოვმა, ა. ჰოლოკიანმა (სამივე — სოხუმი) და გ. ბოლქვაძემ (მახარაძის რაიონი).

გუნდურ შეჯიბრებაში ყველას აფხაზეთის წარმომადგენლებმა აჯობეს. II ადგილი დაიკავა სამხრეთ ოსეთმა, III — რუსთავმა.

ნაყოფიერი მუშაობისთვის გამარჯვებულ სპორტსმენებთან ერთად განათლების სამინისტროს სიგელებით დაჯილდოვდნენ მათი მწვრთნელები: ვ. რადიმაშვილი და ფ. ასლანიანი (სოხუმი), ვ. ლობჟანიძე (რუსთავი) და ი. გრიქუროვი (ცხინვალი).

შეჯიბრებამ გამოავლინა ბევრი პერსპექტიული, კარგი მომავლის მქონე ჭაბუკი ძალოსანი, მათგან პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ რ. ძიძისტარაშვილი, ა. ფარიშიშვილი, ვ. გაბრაევი, გ. თინაშვილი, ა. ჯიოევი, უ. ძაგოევი, ბ. ბოხუა, შ. ყურაშიძე, გ. კასრაძე.

ამ შეჯიბრების ჩატარება უდავოდ კარგი თაოსნობაა რესპუბლიკის განათლების სამინისტროს შესაბამისი განყოფილებისა. იგი ხელს შეუწყობს საქართველოს რაიონებში ძალოსნობის განვითარებას. ეს რასაკვირველია, მომავლის საქმეა. ცხინვალში გამართულ შეჯიბრებაზე კი უნდა ითქვას, რომ მონაწილეთა შორის ვერ ვიხილეთ ქუთაისის, ბათუმის, ახალციხის, წალკის, ადიგენის, გორის, წყალტუბოს, სიღნაღისა და ხაშურის წარმომადგენლები, სადაც, საქართველოს სპორტკომიტეტის შესაბამისი დადგენილებით, ბავშვთა ჯგუფები უნდა მუშაობდეს.

ყოვლად გაუმართლებელია თბილისელთა გულგრილი დამოკიდებულება ამ ოლიმპიური სახეობისადმი. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ დღემდე თბილისში ჭაბუკ ძალოსანთა არც ერთი ჯგუფი არ მუშაობს. ამან თავი იჩინა ჯერ კიდევ ჭაბუკთა შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში, სადაც ჩვენი ნაკრები პირველ ათეულში ვერ მოხვდა. ვფიქრობთ, დღეისთვის თბილისი ძალოსნობის განვითარების მხრივ ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებს შორის. თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, ქართული ძალოსნობა უახლოეს წლებში დაკარგავს გ. ჩიკვაიძის, მ. ძლენტის, ვ. სვეტილკოს, რ. ჩიმიშკიანის, დ. შანიძის, ა. ჯეჯელავას და სხვათა მიერ დაუღალავი შრომით მოპოვებულ სპორტულ სახელსა და დიდებას.

ამ ბოლო ხანს თბილისის ორჯონიკიძის, პირველი მაისისა და 26 კომისრის რაიონებში გაიხსნა ძალოსნობის სამი სპეციალიზებული სპორტული დარბაზი, სადაც მაღალკვალიფიციური და გამოცდილი მწვრთნელები მუშაობენ. მაგრამ ამ სახეობის მასობრივად განვითარებისთვის ეს არ კმარა. საჭიროა დადებითად გადაწყდეს მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამაში ძალოსნობის შეტანის საკითხი. ამით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენში ამ სახეობის შემდგომ განვითარებას.

**გ. გოდერძიშვილი,**
საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ძალოსნობაში, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.



რუსთავის ველოსიპედისტთა ნაკრების წევრები ვ. კეხბასა და ა. ჩერნოუსოვის ხელმძღვანელობით ენერგიულად ემზადებიან საზაფხულო სტარტებისთვის — ზამთრის ყოველ თბილ დღეს იყენებენ და საგზატკეცილო ველორბოლაში სისტემატურად ვარჯიშობენ.

**სურათზე:** რუსთაველი ველოსიპედისტები მორიგი საწვრთნელი მეცადინეობის დროს.

რ. გაბრიჩიძის ფოტო.

---

**✦ ზუგდიდი**

სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ზუგდიდის რაიონულმა კომიტეტმა ჩაატარა შეჯიბრებები ჭადრაკსა და ტყვიის სროლაში. მოჭადრაკეთა ტურნირში გაიმარჯვა ვარეუბნის მომხმარებელთა საზოგადოების სავაჭრო განყოფილების გამგემ მ. გვასალიამ. ტყვიის მსროლელთა შორის ყველას აჯობა ვ. ხოჭოვანმა. გუნდურ ჩათვლაში კოოპუნივერმაღის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს.

**ა. ფიფია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა







კოხტაგორა, მუხრის ველი, ნაძვნარი, თოვლში ჩაფლული მყუდრო ბინები, შესანიშნავი ტრასები მრავალ დამსვენებელსა და სპორტსმენს იზიდავს.

ეს ფოტოსურათები ამ დღეებშია გადაღებული და ბაკურიანის ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდზე მოგვითხრობს. პირველ ფოტოზე თქვენ ხედავთ საბაგირო გზას, რომლითაც მეორე ფოტოსურათზე აღბეჭდილი ახალგაზრდები კოხტაგორის წვერზე ავიდნენ. ეს ახალგაზრდები თბილისის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები არიან, რომლებიც ზამთრის არდადეგებს ბაკურიანში ატარებენ.

საკმარისია ბაკურიანში რომელიმე ცნობილი სპორტსმენი გამოჩნდეს, რომ იგი უმალ ჟურნალისტთა ყურადღების ცენტრში მოექცევა. ამ მხრივ გამონაკლისი არც მსოფლიო ჩემპიონი, მოსკოველი ფ. სიმაშოვი (მესამე ფოტო) ყოფილა.

ქვედა სურათზე აღბეჭდილია საქართველოს ზამთრის სპარტაკიადის მონაწილე ვაჟთა ერთი ჯგუფი გიგანტური სლალომის ტრასაზე დაშვების წინ.

ა. გურასაშვილის ტექსტი და ფოტოები.
(ჩვენი სპეც. კორ.).



# ითამაშებს თუ არა პელე ნაკრებში?

ბრაზილიის სპორტის მესვეურებმა კიდევ ერთხელ სცადეს დაეთანხმებინათ პელე წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ამ ქვეყნის ნაკრების სახელით თამაშზე.

ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ანტონიო პასომ გაზეთ „ესტადუ დი სან-პაულუს" ფურცლებზე განაცხადა, რომ ის და სხვა ოფიციალური პირები პელეს შეხვდნენ და ელაპარაკნენ გარინჩასთან გამოსათხოვარი მატჩის შემდეგ. ამ საუბრის დროს ოფიციალურმა პირებმა მიაღწიეს იმას, რომ მოლაპარაკება თებერვალში გაგრძელდება.

... 1971 წლის 18 ივნისი. რიო-დე-ჟანეირო. სტადიონ „მარაკანაზე" ნემსი არ ჩავარდება. ტარდება ბრაზილიისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი. პელე უკანასკნელად თამაშობს „ყვითელ-მწვანეთა" სახელით. პირველი ტაიმი დამთავრდა. „ფეხბურთის მეფემ" მაყურებელთა ყიჟინში მინდორი დატოვა მას გადაწყვეტილი აქვს ამიერიდან აღარასოდეს ითამაშოს ბრაზილიის ნაკრებში, აღარასოდეს მიიღოს მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატებში... აღარასოდეს?

1966 წლის ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, სადაც პორტუგალიის გუნდის მცველებმა სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით დაასახიჩრეს „ფეხბურთის მეფე", პელემ განაცხადა, ამიერიდან ერთხელაც აღარ ვითამაშებ ამ ვგრეთ წოდებულ მსოფლიო ჩემპიონატებშიო. მაგრამ 1970 წელს პელე მაინც გამოვიდა სარბიელზე მექსიკაში. როცა ჟურნალისტებმა 29 წლის პელეს ჰკითხეს, რამ გაიძულათ „ყვითელ-მწვანეთა" ნაკრებში დაბრუნებაო, „მეფემ" უპასუხა: „ფულმა და ფეხბურთის სიყვარულმა ისევ მიმიყვანა ნაკრებში. სწორედ ასე იყო. მე ოჯახი მაქვს და ვალდებული ვარ ვიზრუნო მისი შემდგომი ცხოვრების უზრუნველყოფისთვის".

პელე, რომელმაც ბრაზილიის ნაკრებში 100-ზე მეტი მატჩი ითამაშა, დღესაც აქტიურად გამოდის ერთ დროს სახელგანთქმული „სანტოსის" შემადგენლობაში. „სანტოსში" მას გუნდის ყველა წევრზე მეტ ფულს უხდიან. პროფესიული ფეხბურთი განუყრელადაა დაკავშირებული ბიზნესთან. 33 წლის პელეს უამრავი საწარმო აქვს. იგი რამდენიმე ბრაზილიური და უცხოური კომპანიის აქციონერია. პელეს სახელს ფართოდ იყენებენ უთოების, მარილების, სანთებლების, ასანთის რეკლამისთვის...

ამ ცოტა ხნის წინათ პელემ განაცხადა, ოქტომბრიდან საერთოდ დავანებებ თავს ფეხბურთსო. ახლახან ჩან გამოცდები ჩააბარა ფიზიკური აღზრდის სკოლაში. როგორც „მეფე" ამბობს, ახლა მას სურს ბავშვებს ასწავლოს ფეხბურთის ყველა საიდუმლო, რაც კი თვითონ იცის.

წლეულს, შეიძლება ეს მსოფლიო ჩემპიონატის დღეებშიც მოხდეს, ბრაზილიაში გამოვა ვერცხლის მონეტა ფეხბურთიდან პელეს წასვლის აღსანიშნავად. გამოუშვებენ სამკერდე ნიშნებს პელეს გამოსახულებით. ესკიზები დაამზადა სკულპტორმა კარნელესომ. მონეტის ერთ მხარეზე გამოსახული იქნება პელე, მეორეზე — ბურთი სტადიონის ფონზე. ბურთზე იქნება წარწერა: „ფეხბურთთან გამოთხოვების წელი — 74".

მაშ ასე, პელე ფეხბურთელის კარიერას ამთავრებს. როგორ იქნება ნაკრების საქმე?

1974 წლის ნაკრებში პელეს დაბრუნებისთვის მთელი ბრაზილია იბრძვის. გაზეთები, რადიო, ტელევიზია ყოველდღე აცხადებენ: „პელე ნაკრებს სჭირდება!" ბრაზილიელი გულშემატკივრების მრავალმილიონიანი არმია ყოველდღე უამრავ წერილს უგზავნის „ფეხბურთის მეფეს" და ჯიუტად სთხოვს ნაკრებში დაბრუნებას.

ეს კამპანია განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ევროპაში ბრაზილიის ნაკრების ტურნეს დამთავრების მერე, როცა გუნდს გამოაკლდნენ დაშავებული ტოსტაო და გერსონი, აგრეთვე მას შემდეგ, რაც პელემ გარინჩასთან გამოსათხოვარ მატჩში ითამაშა. პელემ ამ მატჩში ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე ფიზიკურ ფორმაშია. მან მაყურებლებს უჩვენა მთელი თავისი „ძველი მაგია" და გაიტანა გოლი, რომელსაც ალბათ კიდევ დიდხანს უჩვენებენ ნიმუშად გაკვეთილებზე ახალგაზრდა ფეხბურთელებს.

ა. გორბუნოვი,
ბ. შჩერბაკოვი.

## მორიგი ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი ტირაჟისა, რომელიც 30 იანვარს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2764 მანეთია, ოთხისთვის — 50, სამისთვის — 3.

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 4022 მანეთია, ოთხისთვის — 79, სამისთვის — 4.

მოგებული თანხა გაიცემა 11 თებერვლიდან 10 მარტის ჩათვლით.

## უძლიერესნი...

ტანვარჯიშის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობა 1974 წლისთვის. ვაჟთა ძირითად ნაკრებში შევიდნენ: ნ. ანდრიანოვი (ვლადიმირი), ვ. კლიმენკო, გ. ბოგდანოვი (ორივე — მოსკოვი), პ. შამუგია (თბილისი, „დინამო"), ა. მალეევი (მინსკი), ვ. ბოიკო (მოსკოვის ოლქი), რ. მიქაელიანი (ერევანი), ვ. საფრონოვი (ლვოვი), ვ. მარჩენკო (გროზნო), ვ. შჩუკინი (მინსკი), ა. ტრიფონოვი (ვორონეჟი), ე. მიქაელიანი (ერევანი).

ჭაბუკთა ნაკრების სათავეშია თბილისელი მოსწავლე ვ. კოვალიშვილი.

ქალთა ძირითადი ნაკრები ასე გამოიყურება: ლ. ტურიშჩევა (დონის როსტოვი), ე. საადი (მოსკოვი), ო. კორბუტი (გროდნო), ნ. კიმი (ჩიმკენტი), რ. სიხარულიძე (ბათუმის „დინამო"), ლ. ხავინა (მინსკი), ნ. დრონოვა (თბილისის „განთიადი"), ვლადიმირელი ლ. ანდრიანოვა (ბურდა), ლ. ბოგდანოვა (მოსკოვი), ტ. შჩეგოლკოვა (რიგა), რ. ბიჩუკინა (მოსკოვი), ა. კოშელი (მინსკი), თ. ლაზაკოვიჩი (ვიტებსკი).

## პრეტენდენტთა მატჩები

### მეკინგი — კორჩნოი 0:2

ოგასტა (აშშ). მეკინგ — კორჩნოის მატჩის IX პარტია, როგორც ვიუწყებოდით, ორჯერ გადაიდო. მეტოქენი ამ პარტიის სათამაშოდ გუშინწინ მესამედ მიუსხდნენ მაგიდას. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა: მხოლოდ 10 სვლა გაკეთდა. დაბოლოებაში, რომელშიც კორჩნოის ეტლი და კუ იბრძოდა მეკინგის ეტლის წინააღმდეგ, მოგება არ ჩანდა. ამიტომ 99-ე სვლაზე კორჩნოის წინადადებით მეტოქენი დაზავდნენ.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04429